

## მიიღე პორტუგალიური ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში

ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (Polytechnic Institute of Braganca, Portugal) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ერთდროულად ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას იძლევა და პორტუგალიაში ბაკალავრიატის ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაარსდა 1983 წელს, ის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და მოწინავე ტექნიკური სასწავლებელია. ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს 100-ზე მეტი სასწავლო პროგრამა. ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტში 8000 სტუდენტი სწავლობს, საიდანაც 30% საერთაშორისო სტუდენტია. გაცვლით პროგრამებში ყოველწლიურად 900 სტუდენტი იღებს მონაწილეობას.

*გადადი [ბმულზე]() და მიიღე მეტი ინფორმაცია ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტის ოფიციალური ვებგვერდიდან.*

ipb
Catálogo do IPB

**პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა:** ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 180 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) მიღება. პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS= 27 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

**გაცვლითი პროგრამის განხორციელების ადგილი:** პორტუგალია, ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (Polytechnic Institute of Braganca, Portugal)
**სწავლების ენა:** ინგლისური;
**სწავლების ხანგრძლივობა:** 1 წელი;
**პროგრამის საფასური:** 2250 ლარი, დამატებით 1300 ევრო მეოთხე წელი.

*შესაძლებელია დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად

**დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:**
international@btu.edu.ge